დასკვნების ბუნკერი

თბილისის თავისუფალი აკადემია
ჟურნალი „მომავლის ლიდერი“
N5 (N15) სექტემბერი - ოქტომბერი 2021 წელი

მთავარი რედაქტორი
სალომე პირველი
თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი,
სამართლის მეცნიერებათა დოქტორი

სარედაქციო საბჭო
მარინე კობალავა
თბილისის თავისუფალი აკადემიის ვიცე რექტორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მარიამ სიხარულიძე
თბილისის თავისუფალი აკადემიის
საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი

ნინი ჩაჩხიანი
თბილისის თავისუფალი აკადემიის
ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის ხელმძღვანელი

გრაფიკული დიზაინერი
სოფიკო ალფაიძე

პროექტი ხორციელდება თბილისის თავისუფალი
აკადემიის „ახალგაზრდა ლიდერთა სკოლის“ მიერ

ISSN 2667-923X

© თბილისის თავისუფალი აკადემია
გამომცემლობა, თბილისი 2021



თანამედროვე შრომის ბაზარი ძალიან განსხვავებულია წინა პერიოდებთან შედარებით. მსოფლიოს წინსვლამ, ინოვაციებმა, ტექნოლოგიების განვითარებამ, აგრეთვე კოვიდ პანდემიურმა მდგომარეობამ განაპირობა ის, რომ შრომის ბაზარზე ახალი პროფესიები წამოწია წინ. საქართველოში ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან, ძალიან დიდია უმუშევართა რაოდენობა. "ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" (NDI) ბოლო კვლევის თანახმად, ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკითხი საქართველოში გამოკითხულთა უმეტესობისთვის სამუშაო ადგილებია. ეს კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ დასაქმების პრობლემა კვლავ აქტუალურია.

საქართველოს შრომის ბაზარი, მოთხოვნადი პროფესიები და დასაქმების შესაძლებლობები.

ჯერ კიდევ **2012** წელს, **Deloitte** აკეთებდა პროგნოზს, რომ ტექნოლოგიური პროგრესის გამო **21** საუკუნეში ყველაზე მეტი ადამიანი დასაქმდება ტექნოლოგიების, სერვისის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ახალი რეალობა ტექნოლოგიურ პროგრესს ნაკლებად"ბრალდება", მსოფლიოს დასაქმების ბაზარი სწორედ ასეთ ცვლილებებს განიცდის- ჩნდება და ქრება პროფესიები ტექნოლგიებშიც კი, იზრდება მოთხოვნა სერვისის სფეროდან (მაგ: **delivery boy,** ანუ კურიერი), ჩნდება ახალი პროფესიები და სფეროებიც კი ჯანმრთელობის სფეროში. რაც მთავარია, ამ სიახლეებს ახალი ცოდნა და შესაბამისად, განათლება სჭირდება, ხოლო განვითარებასთან ერთად ინდუსტრიებსაც - ახალი პროფესიონალები.



საქართველოში ძალიან ბევრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის იმ განათლების მიცემას, რაც აუცილებელია შემდგომ კონკრეტულ სფეროში საქმიანობის გასაგრძელებლად. მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობა ჩვენი ქვეყნის თანმდევი პრობლემაა, საქართველოში ბოლო წლებში ეკონომიკა მზარდია, რაც გულისხმობს იმ სფეროების გაფართოვებას, სადაც უმაღლესი განათლების მქონე კადრის დასაქმების შესაძლებლობები იზრდება. შესაბამისად, იზრდება სამუშაო ადგილები, მოთხოვნები, ვაკანსიები.

რომელი პროფესიაა ყველაზე მოთხოვნადი დასაქმების ბაზარზე?

თუ რომელი პროფესიებიაა ყველაზე მოთხოვნადი დასაქმების ბაზარზე, აქ უნდა აღვნიშნოთ, მომსახურების, სასტუმრო, რესტორნების, სამედიცინო, საბანკო და სამშენებლო სფეროები. კვალიფიციური კადრი ვიწრო სპეციალობით (მაგ: ელექტროინჟინერი, ზეინკალი, სამედიცინო აპარატურის ინჟინერი, გათბობა კონდიცირების სისტემის სპეციალისტი) საკმაოდ დეფიციტურია. ეს კიდევ უფრო ცხადყოფს იმ ფაქტს, რომ საქართველოში მატულობს მოთხოვნა ამა თუ იმ სპეციალობაზე, ხოლო კვალიფიციური კადრი არ არსებობს, რაც რაღა თქმა უნდა, აფერხებს ქვეყნის სწორ განვითარებას. ამას ვერ დავაბრალებთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა, რომლებიც ცდილობენ გარკვეულ სფეროებში მაქსიმალური ცოდნა მიაწოდონ სტუდენტებს. ამიტომ მიზეზს სხვაგან უნდა ვეძიოთ.

კოვიდ 19 - მა დიდი გავლენა იქონია შრომით ბაზარზე. უნდა აღინიშნოს, რომ ივლისისა და აგვისტოს განმავლობაში დასაქმების ბაზარი გააქტიურდა საკმაოდ შესაშური მაჩვენებლით და მიმდინარე წლის ყველაზე აქტიური თვის, მარტის ნიშნულს (2355 ვაკანსია) გადააჭარბა, კერძოდ: ივლისში დაფიქსირდა -2444 ვაკანისა, ხოლო აგვისტოში კი 2691 ვაკანსია. მიდმინარე ორი თვის სტატისტიის მიხედვით, ყველაზე აქტიურ ინდუსტრიებს მიეკუთვნება მომსახურება და ვაჭრობა, შემდეგ კი წარმოება და ფინანსური სექტორი (ბანკი, დაზღვევა, მიკროსაფინანსო კომპანიები) კიდევ ერთი ინდუსტრია, რომელიც აქტიურ დამსაქმებლად მოიაზრება ჯანდაცვის სფეროა, კერძოდ: კლინიკების ქსელი, სააფთიაქო ქსელი, სამედიცინო წარმომადგენლობები, ლაბორატორიები.

რას უმზადებს დასაქმების ბაზარს 2021 წელი? Forbes–ის მიხედვით, მომავალ წელსაც სახლიდან მუშაობა მოგვიწევს. სავარაუდოდ, დამსაქმებლები გასაუბრებებს კვლავ დისტანციურ რეჟიმში წარმართავენ. 2021 წლის სამუშაო ბაზრის ტრენდებს შორის Forbes, აგრეთვე, გამოყოფს სამსახურის პოვნის გაჭიანურებას. რადგანაც პანდემიამ გარკვეული ინდუსტრიები განსაკუთრებულად დააზარალა, უამრავმა ადამიანმა შესაძლოა, პროფესია შეიცვალოს. აშკარაა, რომ ჯერჯერობით პანდემია და მასთან ერთად დისტანციური სამუშაო რეჟიმი წასვლას არსად აპირებს, შესაბამისად, ახლა ახალი უნარ–ჩვევების ათვისებისა და შესაძლებლობების გამოყენებისთვის ყველაზე შესაფერისი დროა.

ახალგაზრდა ლიდერთა სკოლა
YOUNG LEADERS SCHOOL

XXI საუკუნის პიროვნული და სოციალური კომპეტენციების ფორმირების პლატფორმა

www.Freeacademy.edu.ge
info@freeacademy.edu.ge

თბილისის თავისუფალი აკადემია

სერია "მომავლის ლიდერი"

ACADEM LAB

თბილისის თავისუფალი აკადემიის გამომცემლობა

0160, თბილისი, ჯურხა ნადირაძის 46

+995 322 369 160

+995 599 670 108